პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

23 №542.

ბოლშევიკური კადრებისათვის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 10 დღიური ორგანო

25 სექტემბერი, 1937 წ. № 21 (108)

ჩვენს ქვეყანაში კარგად სწავლა, სწავლის ფრიადოსნათ ყოფნა სკოლაში—ეს ისეთივე საპატიო საქმეა, როგორც შრომის გმირობა ქარხანაში, კოლმეურნეობაში, კულტურის ფრონტზე. ეს ისეთივე სასახელო და მამაცური საქმეა, როგორც უშიშარ მფრინავად ყოფნა, რომელიც მაღლა ღრუბლებს ზევით ნავარდობს და ახდენს სისწრაფის და ათასეულ კილომეტრებზე ძირს დაუშვებელ გადაფრენას ჩვენს თვალუწვდენელ ქვეყანაზე.

ლ. ბერია

კაპიტალისტური გარემოცვა—ეს ცალიერი ფრაზა როდია, ეს მეტად რეალური და არასასიამოვნო მოვლენაა. კაპიტალისტური გარემოცვა — ეს ნიშნავს, რომ არის ერთი ქვეყანა, საბჭოთა კავშირი, რომელმაც დაიმყარა სოციალისტური წესწყობილება, და, გარდა ამისა, არის ბევრი ქვეყანა—ბურჟუაზიული ქვეყნები, რომლებიც განაგრძობენ კაპიტალისტური წესით ცხოვრებას და რომლებიც გარსერტყმიან საბჭოთა კავშირს, ელოდებიან რა შემთხვევას იმისათვის, რომ თავს დაესხან მას, დაამარცხონ იგი ან, ყოველ შემთხვევაში — ძირი გამოუთხარონ მის ძლიერებას და დაასუსტონ იგი.

ი. სტალინი

★★★

თვალთმაქცი პარტიის მოღალატეა, თვალთმაქცი საბჭოთა ხელისუფლების მტერია, ხალხის მტერია. თვალთმაქცი—ეს არის კონტრრევოლუციის აგენტი, მავნებელი, პროვოკატორი, მზვერავი.

კომუნისტი, რომელიც შემარიგებლობას და დამპალ ლიბერალიზმს იჩენს თვალთმაქცობის მიმართ, რა ფორმებშიაც უნდა გამოვლინდეს იგი, უდიდეს დანაშაულს სჩადის პარტიის წინაშე, **საბჭოთა ხელისუფლების წინაშე**, ჩვენი **სამშობლოს წინაშე.**

ლ. ბერია

ახალი სასწავლო წელი

ჩვენი უნივერსიტეტის მხიარული და ბედნიერი სტუდენტები, საზაფხულო არდადეგების შემდეგ, განახლებული ენერგია და ენთუზიაზმით დაუბრუნდნენ ცხოველსა და მონატრულ აუდიტორიებ[illegible].

ბედნიერი ქვეყნის ბედნიერი შვილები [illegible] შეუდგნენ მეცნიერების [illegible]ებისათვის ბრძოლას— გმირობისა და სიმამაცის საქმეს.—

ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა, მზრუნველობით გარემოცული სტუდენტობა, აღსავსეა სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობით დიადი სამშობლოს მიმართ, ლენინ-სტალინის გმირული პარტიის მიმართ, უდიდესი მოამაგის, მამისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის მიმართ.

საბჭოთა სტუდენტებისათვის უცხოა შიში და წუხილი ხვალინდელ დღეზე. იგი სიხარულითა და რწმენით ელოდება ყოველი ახალი დღის გათენებას, რომელსაც ახალ ახალი წარმატება და სიხარული მოაქვს.

საბჭოთა სტუდენტობა აღსავსეა სიძულვილის გრძნობით უსაყვარლესი სამშობლოს ყველა მტრის მიმართ, რომლებიც არ იშურებენ არც ერთ მზაკვრულ ხერხს, ოღონდ როგორმე შეაჩერონ ჩვენი ქვეყნის მქეფარე მაჯისცემა.

ოღონდ გამოტყუებულ ობივატელებს შეუძლიათ იფიქრონ, რომ თითქოს მტერი განადგურებულია და მშვიდათ უნდა ვიყოთ. „განა ცხადი არ არის, რომ, ვიდრე კაპიტალისტური გარემოცვა არსებობს, ჩვენში იარსებებენ მავნებლები, ჯაშუშები, დივერსანტები და მკვლელები, რომელთაც უცხოეთის სახელმწიფოთა აგენტები გზავნიან ჩვენს ზურგში“? ერთი წუთითაც არ შეიძლება ბელადის ამ ბრძნული მითითების დავიწყება.

ტროცკისტ-ბუხარინელთა უსაძაგლესმა ხროვამ მცირე ზიანი როდი მიაყენა ჩვენს უნივერსიტეტს.

ფაშიზმის აგენტები, სამშობლოს გამყიდველები, ტროცკისტ-ბუხარინელთა ბანდის ნაძირალები, ჩვენი უნივერსიტეტის ყოფილი „მესვეურები“ — იბერ ბანდიტი და ნიღაბოსანი ორაგველიძე, ხობუა, გ. ჯანელიძე, შ. ცინცაძე, გ. კვიცარიძე და სხვები, რომლებიც [illegible] მავნებლურ-დამარღვეველ მუშაობას სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ისინი ყოველმხრივ ცდილობდნენ ხელოვნურად შეექმნათ უკმაყოფილება სტუდენტობაში.

შემთხვევითი არ არის, და მტრის მოფიქრებული მუშაობის შედეგია, რომ წელს უნივერსიტეტში ჩაიშალა ახალი სასწავლო წლისათვის მზადება.

სამგზის წყეული მტრები ორაგველიძე და ძმანი მისნი თავს უყრიდენ უქნარებსა და მლიქვნელებს, რომლებიც დაფარავდენ მათ „საქმიანობას“, ხოლო ცეცხლითა და მახვილით დევნიდნენ ახალგაზრდა ნიჭიერ პარტიულ და კომკავშირელ სპეციალისტთა კადრებს (ბოჭორიშვილი, მეტრეველი, მეუნარგია და სხვები).

საჭირო შეიქნა მტრის მიერ დაკომპლექტებულ ლექტორთა შემადგენლობის ხელახლა გადასინჯვა, სადაც ცოტანი როდი აღმოჩნდენ მტრული ელემენტები, რომლებიც უკვე გაძევებული არიან უნივერსიტეტიდან.

რექტორატმა დაუყოვნებლივ უნდა უზრუნველყოს ყველა დისციპლინაში ლექციების ნორმალურად წარმართვა, რაც აქამდის არ არის მიღწეული.

ცალკეულმა კათედრებმა აქამდის ვერ შესძლეს ამათუიმ დისციპლინის სწავლების პროცესის შემოწმება, რის შედეგად ადგილ აქვს ლექციების უხეიროდ ჩატარების ხშირ შემთხვევებს. დღესაც ვაქვეყნებთ ამის დამადასტურებელ მასალებს.

ხალხის უსაზიზღრესი მტრები, უნივერსიტეტის ყოფილი „ხელმძღვანელები“, უყურადღებოდ სტოვებდენ **ლ. ბერიას** იმ მითითებას, რომ „მოსწავლეთა გმირობა და სიმამაცე ფრიადზე სწავლაა“. იმის შედეგად, რომ მივიწყებული იყო ფრიადოსნებზე ზრუნვა და მათთან მუშაობა, ფრიადოსანთა რიცხვი 400-ს არ აღემატება.

პრორექტორმა [illegible]ძემ და ტექნიკური ნაწილის უფროსმა [illegible], სარგებლობდენ რა ორაგველიძის მხარდაჭერით — სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის რემონტი, უკმაყოფილების შექმნის მიზნით, სექტემბრამდე არ დაამთავრეს.

ახალ სასწავლო წელს მოუმზადებელი შეხვდა სტუდენტთა სამკითხველო, რომელზედაც დიდათაა დამოკიდებული სტუდენტებისადმი დახმარების გაწევა მაღალი აკადემიური წარმატების მოპოებაში.

ორაგველიძის მიერ დანერგილი ბიუროკრატიული მოპყრობა და უქნარობა უნდა აღმოიფხვრას. რექტორატმა და დეკანატებმა გულისხმიერად უნდა მოეკიდონ სტუდენტთა მოთხოვნილებებს.

ცალკეული ფაკულტეტების მიხედვით უნდა ჩატარდეს საწარმოო თათბირები, ახალი სასწავლო წლის კარგად ჩატრებისათვის საჭირო ღონისძიებათა დასასახავად.

ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ სტუდენტთა საქმიან წინადადებებს.

დაუნდობლად აღმოვფხვრათ მტრის მავნებლური მუშაობის შედეგები, გავანადგუროთ თუ კი სადმე დარჩენილა მათი გულღვარძლიანი ნაძირალები და ყველა ძალების მართებული მობილიზაციით ბოლშევიკურად ჩავატაროთ ახალი სასწავლო წელი.

„სიფრთხილე უნდა გამოიხატებოდეს თვითეული კომუნისტის, თვითეული კომკავშირელის, თვითეული არაპარტიული ბოლშევიკის მუშაობის გაუმჯობესებაში, რომელიც მიმართულია პარტიის ამოცანებისა და ამხანაგ **სტალინის** მითითებათა განხორციელებისაკენ“.

(ლ. ბერია)

„ჩანერგილი იქნეს თითეული კომკავშირის შეგნებაში რომ ყოფა-ცხოვრება განუყოფელია პოლიტიკისაგან, რომ მორალური გახრწნა იწვევს კომკავშირელის, როგორც პოლიტიკური და საზოგადოებრივი მუშაკის დაღუპვას და რომ მუშაკთა მორალური სიწმინდე წარმოადგენს საიმედო გარანტიას პოლიტიკურ გახრწნისაგან“. (საქ. ა.ლ.კ.კ. ცენტრალური კომიტეტის მე-4 პლენუმის დადგენილებიდან).

[illegible]

საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკას დადგენილების საფუძველზედ სახელმწიფო უნივერსიტეტის კომკავშირის საანგარიშო საარჩევნო კრება, როგორც არა სწორად ჩატარებული, გაუქმებულ იქნა და იგი ხელმეორედ სექტემბერს ჩატარდა.

კამათში გამოსული ამხანაგები ერთხმად აღნიშნავდენ, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტის კომკავშირის ორგანიზაციამ და მისმა კომიტეტმა ჯერ კიდევ ვერ გამოიტანა სათანადო დასკვნები საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტის თებერვალ-მარტის პლენუმზე დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** ისტორიულ მოხსენებისა და საბოლოო სიტყვიდან. კომკავშირის უნივერსიტეტის ორგანიზაცია სრულიად არადამაკმაყოფილებლად ანხორციელებდა საქართველოს ბოლშევიკების სახელოვანი ხელმძღვანელის, საუკეთესო სტალინელის ამხანაგ ლ. პ. **ბერიას** მითითებას—შეტევითი რევოლუციონური სიფხიზლის ამაღლების შესახებ.

კრიტიკისა და თვითკრიტიკის უქონლობამ, ბოლშევიკური სიფხიზლის მოდუნებამ, უდარდელობამ და დოყლაპიობამ, ურთიერთ შექებისა და მლიქვნელობის ფაქტებმა საშუალება მისცა ხალხის წყეულ მტრებს, იაპონია-გერმანიის ფაშიზმის ქოფაკ აგენტებს, ტროცკისტ-ბუხარინულ ნაძირალებს ორაგველიძეს, ხობუას და სხვებს, თავიანთ დამანგრეველ-მოღალატურ საქმიანობის პროცესში ჩაებათ ცალკეული კომკავშირლები და კავშირგარეშე ახალგაზრდები.

კომკავშირის უნივერსიტეტის ორგანიზაციამ და მისმა კომიტეტმა ვერ შესძლო დროზე ემხილებია ხალხის მტრების — ორაგველიძის, ხობუას, ჯანელიძის, კვიცარიძის, ცინცაძის, ნაროუშვილის და მათი დამქაშების კაციას, სილაგაძის, ბიწაძის, მამიჩეიშვილის და სხვათა მავნებლური საქმიანობა.

კომკავშირის კომიტეტი სრულებით არადამაკმაყოფილებელ ხელმძღვანელობას უწევდა შინა-საკავშირო მუშაობას, კომკავშირელთა ავანგარდული როლის ამაღლებას სწავლაში.

კრება ჩატარდა მაღალი იდეურ-პოლიტიკური ნიშნის ქვეშ. კრებაზე გამოამჟღავნეს, გარიცხეს და გააძევეს კრებიდან ხალხის მტრების ორაგველიძის, ხობუას და ჯანელიძის მოკავშირე და მათი აგენტები: კაცია, და სილაგაძე. აგრეთვე კრებამ ერთხმად მიიღო და დაამტკიცა კომკავშირის კომიტეტის დადგენილება ბიწაძის და მამიჩეიშვილის გარიცხვის შესახებ, რომლებიც ახლო კავშირში იყვნენ ხალხის მტერ ორაგველიძესთან.

კომკავშირის კომიტეტმა გადაჭრით უნდა გააუმჯობესოს პოლიტიკური აღმზრდელობითი მუშაობა იმ ანგარიშით, რომ იგი აკმაყოფილებდეს კომკავშირელთა და კავშირგარეშე ახალგაზრდობის გაზრდილ მოთხოვნილებას.

სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ დოყლაპიობას, მოლაყბეებს, კანცელარულ-ბიუროკრატულ ხელმძღვანელობას, სასხდომო ფაცაფუცს და კომკავშირელთა მხრივ ყოფაცხოვრებითი გახრწნის შემთხვევებს, როგორც საბჭოთა ახალგაზრდობისათვის უცხო მოვლენას.

ე. გიორგობიანი

26 ბაქოელი კომისრის ხსოვნას

შაუმიანი ჯაფარიძე აზიზბეკოვი ფიოლეტოვი

1918 წლის 20 სექტემბერს ახჩა-კუიმის ცხელ და უდაბურ ქვიშნარებში ინგლისის ინტერვენტებმა, დაშნაკელებმა, მუსავატელებმა და მენშევიკებმა იმპერიალიზმის ამ მოსყიდულმა ლაქიებმა, ვერაგულად დახვრიტეს კომუნიზმის გამარჯვებისათვის მებრძოლი 26 ბაქოელი კომუნარი. იმპერიალიზმის სისხლიანი ხელებით დახოცილნი, 26 ბაქოელი კომისარი სიცოცხლის უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იყვნენ ლენინ სტალინის პარტიის ერთგული შვილები. მათ მთელი თავიანთი სახელოვანი სიცოცხლე შესწირეს სოციალიზმის საქმეს.

...„როდესაც ბაქოში ინგლისელებს იწვევდნენ და ბოლშევიკებს ლალატობდნენ, ბაქოელი მენშევიკები და ესერები ფიქრობდენ ინგლისელი „სტუმრები,“ „გამოეყენებიათ“ როგორც ძალა, ამასთან ფიქრობდენ, რომ ქვეყნის ბატონ-პატრონებად დარჩებოდნენ მენშევიკები და ესერები, „სტუმრები“ კი უკანვე წავიდოდნენ. ნამდვილად პირიქით მოხდა: „სტუმრები“ შეუზღუდველი ბატონ-პატრონები შეიქმნენ. ესერები და მენშევიკები გადაიქცნენ „26 კომისრის“ მუხანათური და სულმდაბლური მოკვლის აუცილებელ მონაწილეებად“. (სტალინი).

კონტრევოლუციონერებმა მხეცურად დახოცეს ბაქოს სახელოვანი კომუნარები, მაგრამ ვერ მოკლეს და ცოცხალი დარჩა კომუნიზმის დიდი იდეა, ბაქოელ გმირ კომუნართა იდეა გამარჯვებულია. კომუნარების დაღუპვიდან რამდენიმე თვის შემდეგ ბაქოს პროლეტარიატმა ლენინ-სტალინის პარტიის მეთაურობით კომუნარების ქალაქში აღმართეს ბოლშევიზმის დიდი და უძლეველი დროშა. გაიმარჯვა იმ საქმემ, რომელსაც შესწირეს მთელი თავიანთი სახელოვანი სიცოცხლე 26 ბაქოელმა ბოლშევიკებმა.

26 ბაქოელ კომუნარების გმირული სახელი მუდამ ცოცხალი იქნება კომუნიზმის საქმისათვის მებრძოლთა გულში.

მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ პარტსწავლება

ამხანაგ სტალინის ლოზუნგი — „დაეუფლოთ ბოლშევიზმს“ უდიდეს ამოცანებს უყენებს პარტიის თვითეულ წევრს. ბოლშევიზმის გმირული ბრძოლის ისტორია, ბასრი იარაღია ჩვენი ქვეყნის მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში.

წარმოუდგენელია რევოლუციური შეტევითი სიფხიზლის მაღალ საფეხურზე აყვანა ბოლშევიზმის ისტორიის დაუფლების გარეშე.

ამხანაგ სტალინის ლოზუნგის განხორციელების ერთ ერთ უდიდეს საშუალებას წარმოადგენს პარტიული სწავლების კარგად დაყენება.

16 სექტემბერს ჩატარდა სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტსწავლების 1-ლი მეცადინეობა. ამ მეცადინეობის შედეგების შეჯამების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ პარტ სწავლების მუშაობა არა დამაკმაყოფილებლად დაიწყო. ამავე წრეში სადაც გაერთიანებულია 230 მსმენელი (102 [illegible], 67 პარტ კანდიდატი, 49 თანამგრძნობი, 12 უპარტიო) მეცადინეობას არ დასწრებია 54 მსმენელი. მაგ: დ. ზარქუა, მ. ურუშაძე, ა. მჭედლიშვილი, კ. სალარიძე, ჩიბაჯიშვილი და ძაგნიძე (უპარტიო), ამ ამხანაგებმა უმიზეზოდ გააცდინეს პირველი მეცადინეობა.

მუდამ უნდა გვახსოვდეს ამხანაგ სტალინის და მისი საუკეთესო თანამებრძოლის ამხ. ბერიას მითითებანი იმის შესახებ, რომ თითვეული კომუნისტისა და უპარტიო ბოლშევიკის მოვალეობაა დაეუფლოს ბოლშევიზმს, ღრმად შეისწავლოს ჩვენი პარტიის ბრძოლის გმირული ისტორია. საჭიროა პარტიულმა კომიტეტმა გადამჭრელი ზომები მიიღოს პარტ. სწავლების შეუსწავლელობის აღმოსაფხვრელად.

ა. შუბლაძე.

* * *

პირველი მეცადინეობა

მოსამზადებელი მუშაობის ცუდათ ჩატარების შედეგად, ეკონომიურ ფაკულტეტზე კომკავშირის პოლიტ სწავლების პირველი მეცადინეობა თითქმის ჩაიშალა. ასზე მეტმა კომკავშირელმა და ამდენმავე კავშირგარეშე ამხანაგებმა უმიზეზოდ გააცდინეს მეცადინეობა.

შედარებით კარგად ჩატარდა მეცადინეობა პირველ კურსზე (იქ მხოლოდ ერთ პოლიტწრეში ჩაიშალა მეცადინეობა). მთელ რიგ პოლიტსკოლებში არ გამოცხადდენ არა მარტო მსმენელები არამედ პროპაგანდისტებიც. მაგ. პირველი კურსის რუსულ სექტორზე მეცადინეობა ჩაიშალა პროპაგანდისტის გამოუცხადებლობის მიზეზით.

საჭიროა კ. კ. კომიტეტმა ეხლავე მიიღოს გადამჭრელი ზომები ასეთი უპასუხისმგებლობის წინააღმდეგ, რათა დროულად იქნეს აღმოფხვრილი პოლიტ სწავლების შეუფასებლობა.

შ. ჯიქია.

ჩვენი გაზეთი

სამგზის წყეულმა და საზიზღარმა, ფაშიზმის აგენტებმა აწ გამომჟღავნებულმა და ნიღაბ ჩამოგლეჯილმა ხალხის მტრებმა: ხობუამ, ორაგველიძემ, შ. ცინცაძემ, გ. ჯანელიძემ, გ. კვიცარიძემ და სხვებმა, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში შენიღბულად მოქმედებდენ უნივერსიტეტის ყველა უბანზე, მოხდენილად გამოიყენეს ჩვენი გაზეთი **„ბოლშევიკური კადრებისათვის“**, თავიანთი ავტორიტეტის ამაღლებისა და ურთიერთ მლიქვნელური ხოტბის შესასხმელად.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენმა გაზეთმა ვერ შესძლო ემხილებინა ხალხის მტრების მავნებლურ-დამარღვეველი მუშაობა და ნიღაბი ჩამოეგლიჯა მათთვის. ან და როგორ შეეძლო მტრის გამომჟღავნება, როცა ივი ხალხის მტრებმა საკუთარ ორგანოდ გადააქციეს. დასამალავი არ არის ის ფაქტი, რომ ჩვენს გაზეთში კრიტიკისა და თვითკრიტიკის ჭაჭანებაც არ იყო. თუ ათასში ერთხელ ვინმე „თავზე ხელაღებული“ ოდნავ კრიტკული ხასიათის წერილს დასწერდა, სიმართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ყოლოდა, თორემ „მესვეურთა“ რისხვა საპნის ბუშტივით გააქრობდა.

ერთი და ორი შემთხვევა როდი იყო, როცა უნივერსიტეტის ჭირ-ვარამზე გულშემატკივარმა ამხანაგებმა დროულად და სამართლიანად ამხილეს მტრის მავნებლური მუშაობის ფაქტები, მაგრამ წყეულმა რედაქტორმა ხობუამ კინწისკვრით გამოყარა ასეთი კორესპონდენტები თავის კაბინეტიდან, რადგან „საინტრიგანოთ არ გვცალიაო“.

როცა ერთხელ დაინტერესებულმა ამხანაგებმა სრულიად სამართლიანად ამხილეს ქიმიის ფაკულტეტის და იქ გალმერთებული ობერ შპიონისა და დივერსანტის შ. ცინცაძის მავნებლურ-დამარღვეველი საქმიანობის ფაქტები, ხალხის მტერმა პრორექტორმა გ. ჯანელიძემ ცოფმორეული დორბლი დააფრთხია და აღშფოთებით მოახსენა მის „უზენაესობას“ იუდა რექტორს: „ხალხს გვიფუჭებენ, ძვირფას სპეციალისტებს გულს უცრუებენო“. ამ ცნობამ ხალხის მტერი, დივერსანტი ორაგველიძე ისე აღელვა, რომ ფეხზედ წამოდგა და კათალიკოსის წყევლით წაიბუტბუტა **„მე მათ უჩვენებო“**.

ბოლშ. კადრ. გვ. მე-2

გაზეთი არამც თუ ამხელდა ფაშიზმის მზვერავსა და მავნებელ შ. ცინცაძეს არამედ ყოველმხრივ უქმნიდა ავტორიტეტს. გაზეთმა რამდენჯერმე მოათავსა მისი სურათი, ისე როგორც ორაგველიძის, ჯანელიძის და სხვა ბანდიტების. გარდა ამისა გაზეთი დიდი ცერემონიებით იუწყებოდა ცინცაძის „უდიდეს წარმატებაზე“, რომ მან თითქოს მოიპოვა დოქტორის ხარისხი და სხ. როცა სინამდვილეში ეს „ხარისხი“ მავნებლური დამსახურებისათვის უბოძეს იუდა ორაგველიძემ და ჯანელიძემ.

თუ ეკონომიური ფაკულტეტის შესახებ რაიმე მამხილებელი კორესპონდენცია დაიწერებოდა, ჯერ გაზეთში არც კი იყო დაბეჭდილი, რომ გ. კვიცარიძე, გაზეთზე გვერდის ავლით, პირდაპირ მიდიოდა მის მფარველ მამებთან და მოახსენებდა: „მავიწროვებენ, გასაქანს არ მაძლევენო“. საკითხი მის სასარგებლოდ წყდებოდა და დივერსანტი ხობუა გვერდზე გადადებდა ასეთ კორესპონდენციებს.

მავნებელი, ხალხის მტერი ორაგველიძე ყოველმხრივ ცდილობდა ხელი შეეშალა გაზეთის ნორმალური გამოცემისათვის და ხელოვნურად უქმნიდა ფინანსიურ უსახსრობას.

ჩვენი გაზეთის ავტორიტეტი ცოტათი როდი შელახა ყოფილმა უკაცრავად პასუხია რედაქტორმა ვ. ცინცაძემ, ამ კითხვის ნიშანმა ადამიანმა, რომელმაც მოატყუა პარტია და დაუმალა მას თავისი ბნელი წარსული. ცინცაძის ინიციატივას ეკუთვნის პრესის ისტორიაში ჯერ არ გაგონილი, გაზეთის თავიდან ბოლომდე რედაქტორის მიერ დაწერის პრაქტიკა. ჩვენი სტუდენტები, იმ დროს გამოშვებულ გაზეთის ნომრებს, სამართლიანდ ეძახდენ „ცინცაძის გაზეთს“.

სამართლიანი იყო უნივერსიტეტის ყველა მუშაკის აღშფოთება, როცა მტერმა ხობუამ **„ბოლშევიკური კადრებისათვის“** რედაქტორად დასვა გაზეთის საქმეში წერა-კითხვის უცოდინარი ხალხის მტერი ხობუას და ორაგველიძის დამქაში, მავნებელი, გოზალიშვილი, რომ გაზეთში არ გაპარულიყო არც ერთი სიმართლე, კრიტიკისა და თვითკრიტიკის არც ერთი სიგნალი, მტრების მელავნების არც ერთი ფაქტი. ჯაშუშ ხობუას ამ მითითებას მავნებელი გოზალიშვილი ღირსეულად ასრულებდა.

ჩვენს გაზეთზე სამართლიანად შესტკიოდა გული უნივერსიტეტის ყველა პატიოსან მუშაკს. იგი დიდხანს იყო ხალხის მტრების ტყვეობაში.

მავნებელთა და ცოფიან ძაღლთა ბუდე განადგურებულია. ჩქარა აღიგვება მათი ნაბოლარების სისინიც. უნივერსიტეტის განახლებული ხელმძღვანელობა სათავეში უნდა ჩაუდგეს ჩვენი გაზეთის გაჯანსაღების საქმეს. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენი გაზეთი იყოს ყველა სტუდენტის, ყველა მეცნიერ მუშაკის საყვარელი გაზეთი. ამას ჩვენ მივაღწევთ ახალი ხელმძღვანელობისგან გაზეთისადმი მზრუნველი დამოკიდებულების პირობებში. ამას ჩვენ მივაღწევთ მაშინ, თუ ჩვენ გაზეთს გადავაქცევთ მებრძოლ გაზეთად, კრიტიკისა და თვითკრიტიკის მედროშეთ.

გაზეთმა თავის გარშემო უნდა შემოიკრიბოს პარტიისა და კომკავშირის მთელი აქტივი; უნივერსიტეტის კეთილდღეობით დაინტერესებული ყველა მუშაკი.

პარტიას მივცეთ საუკეთესო კომკავშირელები

რამოდენიმე დღის წინ შესდგა ფილოლოგიურ ფაკულტეტის პარტორგანიზაციისა და კომკავშირის გაერთიანებული კრება, თანამგრძნობებთან ერთად, სადაც დამუშავდა საკითხი „ს. კ. პ. (ბ) რიგებში კ. კ. აქტივის მიზიდვის შესახებ“ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ვ. შელეგია.

კამათში გამოსული ამხანაგები: რეხვიაშვილი, რევაზოვა, ბოლქვაძე, და სხვ. აღნიშნავდნენ, რომ არ არსებობს იმაზე სასახელო და სასახარულო საქმე, ვიდრე იყო ლენინ სტალინის პარტიის წევრი. კამათში გამოსულ ამხანგებს მოყავდათ მთელი რიგი კონკრეტიული ფაქტები, თუ როგორ, თვეობით ჭიანურდებოდა პარტიაში მიღების საკითხი პარტიულ კომიტეტის ყოფილ მდივნის ხალხის მტრის ხობუას მიზეზით. პარტიულ კომკავშირულ ორგანიზაციის სუსტი მუშაობის შედეგად, ფილოლგიურ ფაკულტეტიდან არც ერთი კომკავშირელის განხადება არ არის შეტანილი პარტიაში მიღების შესახებ. პარტიაში კომკავშირელთა მიღების საქმეს ხელოვნურად აფერხებდა ხალხის მტერი ხობუა, ხოლო კომკავშირის კომიტეტი უდარდელად ეკიდებოდა ამ სერიოზულ საქმეს. დროა მთელი სერიოზულობით მოვეპყროთ პარტიაში კომკავშირელთა მიღების საქმეს.

ი. ბოლქვაძე.

ხალხის მტერი აღრიცხვის კათედრაში

დიდი ხანია რაც სახელმწიფო უნივერსიტეტის აღრიცხვის სამეცნიერო კათედრას, ხელმძღვანელობდა ამჟამად მხილებული, დივერსანტი ზ. ჩახვაძე. კონტრევოლუციონერი ჩახვაძე წლობით ეწეოდა დამანგრეველ მუშაობას კათედრაზე. ხელოვნურად აფერხებდა და შლიდა კათედრის სამეცნიერო მუშაობას. მან თავის ირგვლივ შემოიკრიბა: გ. გამყრელიძე, ლ. პაპავა, ა. ინწკირველი, შ. ბერაძე, ნ. ტყეშელაშვილი, ფხეიძე და სხვ., რომლებიც უყოყმანოთ ასრულებდენ ჩახვაძის მითითებებს, ბრმად ენდობოდნენ ხალხის მტერს, გამოიჩინეს დოყლაპიობა და ვერ ამხილეს ჩახვაძის მავნებლური მუშაობა.

ჩახვაძემ თავის მავნებლური მუშაობა გაავრცელა სტუდენტთა სამეცნიერო წრეში, სავსებით ჩაშალა სტუდენტთა სამეცნიერო წრის მუშაობა: გ.-სასწ. წლის განმავლობაში აღრიცხვის სამეცნიერო წრეს უნდა ჩაეტარებია 16 მეცადინეობა. ფაქტიურად კი ჩაატარა 5 და ისიც მოკლებული იყო ყოველგვარ ხარისხს. წრის მეცადინეობას ხალხის მტერი ატარებდა დესპოტურ მეთოდებით. იგი მრისხანეთ ბრძანებლობდა, სამეცნიერო წრეების მუშაობაში არ აძლევდა სტუდენტებს საშუალებას ფართედ გაეშალათ კრიტიკა და თვითკრიტიკა. თვითნებურად კლავდა სტუდენტებში ინიციატივასა და თაოსნობის სურვილს. იმ მიზნით, რომ საშუალება არ მისცემოდათ სტუდენტებს, ემუშავათ დამოუკიდებლად, იუდა ჩახვაძე თვითონ აკეთებდა მოხსენებებს და არ აძლევდა დავალებებს სტუდენტებს. სტუდენტების სურვილს მოხსენების შესახებ მტერი ჩახვაძა ასეთი განცხადებით უმასპინძლდებოდა: „სტუდენტები ვერ შესძლებენ სამეცნიერო ხასიათის მოხსენების გაკეთებას, ჯერ მოიცადეთ და ისწავლეთო“.

იმ მიზნით, რომ განგებ შეემცირებია დრო მოხსენებისა და კამათისათვის, ჩახვაძეს შემოღებული ქონდა ზუსტად განსაზღვრული რეგლამენტი და მეტწილად ამ დროსაც ანდომებდა სხვა, მოხსენებისაგან დამოუკიდებელ საკითხებს. მან როგორც მეთოდი შემოიღო საერთაშორისო ამბებზე ინფორმაციების ჩატარება — მოხსენბის ხარჯზე.

კონტრევოლუციონერ ჩახვაძის „თეორიებითა“ და უშუალო ხელმძღვანელობით აღიზარდნენ შ. ბერაძე და ნ. ტყეშელაშვილი, რომელთაც სავსებით დაკარგეს რევოლუციონური სიფხიზლე, მთლიანად მოექცენ ხალხის მტრის ჩახვაძის გავლენის ქვეშ და სამეცნიერო ხარისხის მოპოვების იმედით არასოდეს არაფერს ამბობდენ ამ მავნებლის შესახებ. პირიქით, ისინი ხშირად ეწეოდნენ ჩახვაძის სასარგებლო პროპაგანდას როგორც „დიდი მეცნიერის“. მიუხედავად იმისა, რომ ხალხის მტრის ჩახვაძის მხილებიდან საკმაო დრო გავიდა, ბერაძე და ტყეშელაშვილი არსად გაუსულან თავიანთი მუშაობის კრიტიკით.

კათედრასთან აგრეთვე უშუალო მუშაობა უხდებოდა კათედრის წრის კომკავშირელ თ. ჭაიას, ამხ. ჭაია რამდენიმე ხანია მუშაობს ამ კათედრაზე. იგი მოწმე იყო კათედრაზე ასეთი მდგომარეობისა, მაგრამ არც ერთხელ არ მიუცია სიგნალი ჩახვაძის მავნებლური მუშაობის შესახებ.

ხალხის მტერმა ჩახვაძემ „დიდი ბრძოლით“ დაუნიშნა გაძლიერებული სტიპენდია (250 მანეთის რაოდენობით) ვადაჭკორიას, ეს იმ დროს როდესაც მასზე მოწინავე ამხანაგები ჩვეულებრივ სტიპენდიას ღებულობენ.

დროა, ეხლა მაინც გადასინჯული იქნეს აღრიცხვის სამეცნიერო კათედრის შემადგენლობა. შემოწმებული იქნეს მათი მუშაობა და შეივსოს იგი საუკეთესო მოწინავე კადრებით.

ვ. ბენიძე, ნ. ბერიშვილი,
შ. გრიგოლაშვილი, ალ. ფაკაძე.

ლაპარაკობენ დემოკრატიაზე. მაგრამ რა არის დემოკრატია? დემოკრატია კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც ანტაგონისტური კლასები არსებობენ, საბოლოო ანგარიშით არის დემოკრატია ძლიერთათვის, დემოკრატია მქონებელი უმცირესობისათვის. დემოკრატია სსრ კავშირში, პირიქით, არის დემოკრატია მშრომელთათვის, ე. ი. დემოკრატია ყველასათვის.

სტალინი

კარგად ვიცოდეთ „დებულება ს.ს.რ. კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“

უზენაესი საბჭოს მომავალ არჩევნებში მონაწილეობის ორგანიზებულად მიღება დიდათ არის დამოკიდებული სსრ. კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების კარგად ცოდნაზე. ყოველი სტუდენტი უნდა იყოს აქტიური აგიტატორი მოსახლეობაში დებულების თითოეული მუხლის განმარტებისათვის.

დებულების კარგად შესწავლისათვის უნივერსიტეტის პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უკვე გაშალეს საჭირო მუშაობა.

ჩატარდა სპეციალური პროფსემინარი სადაც დამუშავდა საკითხი, დებულების უკეთესად განმარტების შესახებ. ყველა ტიპის პარტიულ და კომკავშირულ პოლიტსკოლებში მიმდინარეობს დებულების სამ მეცადინეობაზე შესწავლა არამორიგ მეცადინეობის დღეებში.

გარდა ამისა დავალებული აქვთ აგიტატორებს დებულების წაკითხვა და განმარტება მოაწყონ აკადემიურ ჯგუფებსა და საერთო საცხოვრებლებში. უნდა აღინიშნოს, რომ არ მუშაობს აგიტატორთა სემინარი და სუსტია მათდამი დახმარება. ამის შედეგად აგიტატორების მუშაობა ჯერ კიდევ არა დამაკმაყოფილებელია.

განსაკუთრებით სუსტია პროფორგებისა და ალმასბიუროს ხელმძღვანელობა დებულების შესწავლის მიმართ.

საჭიროა განსაკუთრებული ყურადღებით მოკიდოს ხელი ამ სერიოზულ საქმეს უნივერსიტეტის მთელმა ხელმძღვანელობამ.

ეს არ არის ისტორია

ისტორიის ფაკულტეტის მე-4 კურსზე იკითხება სომხეთის ისტორია, რომელსაც კითხულობს პროფ. **მელიქსედბეგი.** სომხეთის ისტორია, ისე როგორც საქართველოსა და სხვა მოძმე რესპუბლიკების ხალხთა ისტორია, წარმოადგენს უაღრესად დიდ მნიშვნელოვან ნაწილს დიდი საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიისას. ამ დისციპლინას სამართლიანად აქვს დათმობილი საათების დიდი რაოდენობა (მთელი წლის კურსი).

კარგია და სასიხარულო, რომ ეს საგანი იკითხება, მაგრამ სავალალოა ის, რომ იგი იკითხება ისე, როგორც არ უნდა იკითხებოდეს არც ერთი ისტორია. არაფერს ვამბობთ მელიქსედბეგის როგორც პროფესორის შესახებ. გულისტკივლს გამოვთქვამთ მხოლოდ იმაზე, რომ სომხეთის ისტორია იკითხება უხეიროდ, ან უფრო სწორად, რომ ვთქვათ იგი ყველაფერია გარდა ისტორიისა.

იგი არ იკითხება ისე, როგორც ჩვეულებრივად სხვა ისტორია. იქნებ ჩვენ ვცდებით და სომხეთის ისტორია შეიცავს რაღაც განსაკუთრებულ თავისებურებას. ჩვენ წაგვეკითხა ათეული სხვა ისტორიები, მაგრამ ამ [illegible] მეთოდით არც ერთი არ [illegible] იქნებ სხვა პროფესორები ცდებოდნენ? ვფიქრობთ არა. მართლაც აქვს თუ არა სომხეთის ისტორიას ისეთი რაღაც სპეციფიურობა, რომ განსხვავებით სხვა ისტორიებისა ჯერ იკითხებოდეს მევენახეობის ისტორია, მეთევზეობის ისტორია, ძირითადი ცნობები ზოოლოგიიდან, ბოტანიკიდან, არქეოლოგიიდან და სხვა.

პროფესორი იძლევა შეპირებას, რომ იგი რამდენიმე ლექციის შემდეგ დაიწყებს სომხეთის **ხალხთა ისტორიასაც.** ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ძირითადი უნდა იყოს სწორედ ხალხთა ისტორიის სწავლება, ხოლო ყველა სხვა მომენტები დამხმარეა და იგი ცალკე კი არ უნდა იკითხებოდეს, არამედ ხალხის ისტორიასთან ერთად, მისგან მოუწყვეტლად.

სომხეთის საისტორიო მწერლობა, პროფესორმა წაიკითხა ცალკე და იგი მიიყვანა მე-19 საუკუნემდე. მხოლოდ ამ ეპოქის ისტორიაზე ჯერ არაფერი თქმულა. რატომ არ შეიძლებოდა სომხეთის საისტორიო მწერლობა, სომხეთის ხალხთა ისტორიის ცალკეულ ეპოქასთან ერთად წაეკითხა.

რით ავხსნათ ის ფაქტი, რომ პროფ. მელიქსედბეგმა ძალიან ბევრი ილაპარაკა (თუმცა ბუნდოვანად) იმის შესახებ თუ რამდენი ფრთა ქონდა სომხეთის თევზს და როგორ განსხვავდებოდა იგი საქართველოს თევზებისაგან, მაშინ როცა ჯერ არაფერი უთქვამს თვითონ სომეხთა მდიდარი ისტორიიდან.

საკმარისია გადახედოთ წინა წლებში წაკითხულ ლექციათა კონსპექტებს, რომ დარწმუნდეთ: აღნიშნული პროფესორი, მთელი კურსის მანძილზე გვერდს უვლის სომხეთის მდიდარ ისტორიას, კლასობრივ-სახელმწიფოებრივ ურთიერთობას, ხოლო შეგნებულად ბერავს ლექციებს მასალებით: არქეოლოგიიდან, ზოოლოგიიდან ბოტანიკიდან და რამდენიც გინდათ სხვა დისციპლინებიდან, გარდა ნამდვილი ისტორიისა.

ჩვენ მოვითხოვთ—ისტორიის ფაკულტეტის დეკანატმა განიხილოს სომხეთის ისტორიის სწავლების საქმე და დასახოს ღონისძიებანი მისი საჭირო სიმაღლეზე დაყენებისათვის.

მსმენელი.

თვალთმაქცებს ადგილი არა აქვთ კომკავშირში

ცნობილია, რომ ლენინური კომკავშირი იზრდებოდა და იზრდება ლენინ-სტალინის დიდი პარტიის საამაყო ტრადიციებზე. პარტია თავისი წევრისაგან მოითხოვს—იყოს პარტიის წინაშე გულწრფელი და მას არ დაუმალოს ბეწვის ოდენა დანაშაულიც. ამ მოთხოვნას მთლიანად უყენებს თავის წევრებს ლენინური კომკავშირიც.

კომკავშირი აღმზრდელობითი ორგანიზაციაა, და იგი ყოველთვის დაეხმარება თავის წევრებს, შეცდომების თავის დროზე გამოსწორებაში, თუ კომკავშირელი გულწრფელი იქნება ორგანიზაციის წინაშე, მაგრამ კომკავშირი უმკაცრესად მოეპყრობა მათ, ვინც შეეცდება ორგანიზაციის შეცდომაში შეყვანით დაფაროს ნამდვილი სახე.

ისტორიის ფაკულტეტზე რამდენიმე დღის წინ ჩატარებული კომკავშირული კრება წარმოადგენს იმის მაგალითს, რომ ჩვენს რიგებში ჯერ კიდევ არიან შენიღბული თვალთმაქცები და, რომ მათ მიმართ არ შეიძლება ვიყოთ ლმობიერნი.

კომკავშირის, ისტორიის ფაკულტეტის საერთო კრებამ გარიცხა თავის რიგებიდან **გ. სუთიძე,** რომელიც ეხლაც ფარავს თავის კავშირს უკვე გამოვლინებულ ტროცკისტ-ბუხარინელებთან.

გ. ლვინჯელიამ არამც თუ დაფარა გამომჟღავნებული ტროცკისტები—ტაბიძე, ჩეკურიშვილი და სხვები, არამედ ცრუმოწმედაც კი დაუდგა მათ, რომ ვითომ ისინი არ ეწეოდენ ტროცკისტური ხასიათის ლაყბობას. იგი განზრახ მთვრალი მოვიდა კრებაზე, რისთვისაც კრებამ ბოლომდის არ მოუსმინა მის სიტყვას და უბდას. იგი გარიცხეს კომკავშირიდან და გააძევეს დარბაზიდან.

ყოფილი კომკავშირელი **ეში,** დიდი ხნის განმაელობაში უმალავდა კომკავშირს, რომ მას კავშირი ქონდა პოლონეთის ფაშისტური გვარდიის თეთრ გენერალთან—მამასთან და ფაშისტ დედასთან. მას წერილობითი კავშირი ქონდა მათთან, ღებულობდა მატერიალურ დახმარებებს. მან ყოველივე დაუმალა კომკავშირს, რისთვისაც იგი კომკავშირის საერთო კრებამ გარიცხა თავის რიგებიდან.

იოსებ ჯინჯორიას იცნობდენ, როგორც ცუდ მოლაყბესა და მლიქვნელს, არა მარტო ისტორიის ფაკულტეტზე, არამედ სხვა ფაკულტეტზედაც და ყველგან, სადაც მას ოდესმე უმუშავია. დიდი ხანი არ არის რაც იგი ვითომ ტროცკისტების წყევლის დროს ანვითარებდა აშკარა ტროცკისტული ხასიათის თეორიებს, რისთვისაც მას თავის დროზე უკიჟინეს ისტორიის ფაკულტეტის კომკავშირელებმა, მაგრამ იგი გადაარჩინა მისმა მფარველებმა. იგი ეხლაც მალავს ხალხის მტრებთან ახლო კავშირს. მან ყალბი დოკუმენტებით აიღო ამხ. პაჭკორიას ზაფხულის სტიპენდია, რისთვისაც იგი სისხლის სამართლის პასუხისგებაში უნდა იქნეს მიცემული.

კრებამ მას მოუსმინა და ეგონათ, რომ იგი გულწრფელად აღიარებდა თავის დანაშაულს, მაგრამ შეეცადა რა დანაშაულის მიჩქმალვას, მას კრებამ დაატოვებია კომკავშირის ბილეთი და იგი გააძევეს.

კრებამ განიხილა კომკავშირის უნივერსიტეტის კომიტეტის დადგენილება **ი. იზორიას** შესახებ, რომელიც ახლო კავშირში იყო ხალხის მტრებთან და დაუმალა იგი ორგანიზაციას. კრებამ ერთხმად დაადგინა მისი გარიცხვა კომკავშირის რიგებიდან.

ა. კ.

თერთმეტი თვე უმანდატოთ

1928 წლიდან ვირიცხები ლენინურ კომკავშირის ორგანიზაციის წევრად. ყოველთვის აქტიურად ვასრულებდი ორგანიზაციის დავალებებს. არ მქონია შემთხვევა—დამერღვიოს კომკავშირის წესდება და რაიმე სასჯელი მიმეღოს.

მიმდინარე წლის 20 ოქტომბერს სხვა საბუთებთან ერთად დავკარგე კომ. კავშირის საწევრო ბილეთი, რის გამოც მივმართე [illegible] ფინანსო ინსტიტუტის ა. ლ. კ. კ. ორგანიზაციის კომიტეტს (მდივანი [illegible]ანტურია). მდივანმა ჩემი განცხადება [illegible] გაზეთის ამონაჭერი დაკარგა. და[illegible]გული საბუთები მეორედ აღვადგინე [illegible] კომიტეტმა ჩემი საბუთები კვ[illegible] მაუდის ქვეშ ამოხდო. ა-წ. იანვარში ინსტიტუტი შეუერთდა უნივერსიტეტს და მეც ჩავერიცხე უნივერსიტეტის კომკავშირის ორგანიზაციაში. მეგონა აქ მაინც გამოასწორებდენ საქმეს, მაგრამ ჩემ განცხადებას იგივე ბედი ეწია. იგი დღესაც გამოკეტილია კომიტეტის მდივნის მაგიდის ყუთში.

ყოველდღიურად „ვაწუხებ“ კომკავშირის ხელმძღვანელებს, მაგრამ ამაოდ, საქმეს ბოლო არ უჩანს.

ვეკითხები უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტს: როდემდის დავრჩები უბილეთოდ?

ი. ყარალაშვილი.



სურათზე: ეკონომიური ფაკულტეტის II კურსის სტუდენტები საქ. მცოდნეობის ლექციაზე.

გვიცდება ლექციები

ისტორიის ფაკულტეტის მე-2 კურსის სასწავლო ცხრილში შეტანილია მიმდინარე სემესტრში წასაკითხად საქართველოს ისტორია და ს.ს.რ. კავშირის ხალხთა ისტორია, რომელიც ამჟამად უნდა იკითხებოდეს. ამ საგნებში ლექტორები ჯერ კიდევ არ არის გამონახული: მიუხედავად იმისა, რომ რაც სწავლა დაიწყო უკვე 25 დღეა. სტუდენტები ცხადდებიან ცხრილით დანიშნულ საათებში, მაგრამ ლექტორები არსად სჩანან.

სისტემატურად ცდება ლექციები ამავე კურსზე აგრეთვე საშუალო საუკ. ისტორიაში და ენებში. განსაკუთრებით ცუდად დგას ენების სწავლების საქმე.

ცუდად სდგას რუსულსა და ლათინურის ენის შესწავლის საქმეც რაც სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს სტუდენტებში. აქამდის არ არის ზუსტად შედგენილი სამეცადინო ცხრილი.

ნუთუ დიდხანს გასტანს ასეთი მდგომარეობა?.

ი. მარაქველიძე ე. ჩუბინიძე.

ხელახლად იქნეს წაკითხული

სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის მეორე და მესამე კურსზე, **ეკონომიურ მოძღვრებათა ისტორიას კითხულობდა** ხალხის მტერი, ფაშიზმის აგენტი ბიძინა რამიშვილი. დიდი ხანია რაც იგი თავის კონტრევოლუციონურ შეხედულებათა პროპაგანდას ეწეოდა სალექციო საათებში.

რამიშვილის ლექცია თავიდან ბოლომდე უვარგისი იყო. იგი ლექციას ხელ აღებით და ჩქარა კითხულობდა. ამით ართმევდა სტუდენტებს ლექციების ნორმალურ მოსმენისა და ჩაწერის საშუალებას. ეს, ფაშისტ რამიშვილის თავისებური მეთოდი იყო, ამით იგი იოლად ახერხებდა თავის მავნე შეხედულებათა გაპარებას. ამის შესახებ რამდენჯერმე იყო სიგნალი ყოფილ რექტორის ხალხის მტრის ორაგველიძისა და ფაკულტეტის ყოფილ დეკანის ხალხის მტრის კვიცარიძის მიმართ, მაგრამ ისინი სტუდენტთა ამ სამართლიან განცხადებას ასე უპასუხებდნენ: „ვინც ნამდვილი სტუდენტია ის კიდევაც მოუსმენს და ჩაწერს, ვინც არა, ის ნელა წაკითხულსაც ვერ ჩაიწერსო“. ასე უმასპინძლდებოდენ ეს ხალხის საზიზღარი მტრები სამართლიან სიგნალებს.

რამიშვილი თავის საგანში ძირითად ლიტერატურათ რუსულ ენაზე არსებულ გ. როზენბერგის წიგნს უთითებდა, რადგანაც, „ძირითადი ლიტერატურა მხოლოდ რუსულ ენაზე არსებობს, უმრავლესობას კი მისი დამუშავება არ შეუძლიათ, ამიტომ ჩასწერეთ და ისარგებლეთ ჩემი ლექციითაო“. ამ საშუალებით ხალხის მტერი რამიშვილი ცდილობდა თავის კონტრევოლუციურ შეხედულებათა თავზე მოხვევას სტუდენტებისათვის.

როდესაც სტუდენტებმა ხალხის მტერ ორაგველიძეს მიმართეს განცხადებით, რამიშვილის მავნე შეხედულების შესახებ, ორაგველიძემ სტუდენტთა თვალის ასახვევად ლექციების საკონტროლო ჩაწერა მოაწყო ჯგუფში და როდესაც სტენოგრაფისტი გამოგზავნა ლექციებზე, ლექტორი უკვე გაფრთხილებული იყო. სტენოგრამა ორაგველიძემ დადებითად შეაფასა—სტუდენტთა განცხადება კი ჩასთვალა ცილისწამებად.

ფაშისტ რამიშვილმა მთელი წლის კურსის უდიდესი დრო მოანდომა მარქსიზმის კლასიკოსებამდე არსებულ პოლიტ ეკონომიის ისტორიას და მეცნიერულ სოციალიზმის მამამთავრების: მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის შრომებს 6 საათი დაუთმო. რამიშვილს პროგრამაში თემის დასამუშავებლად დასახელებული აქვს ფაშისტების: ზომბარტის, სტრუეს, ტუგანბარანოვსკის და ხალხის მტრის ბუხარინის წიგნები. მხოლოდ მარქსიზმის კლასიკოსები ლიტერატურაში ზოგადად არის მოხსენებული იმის ნაცვლად, რომ კონკრეტულად მიეთითებია, ფაშისტი რამიშვილი ვულგრილად აცხადებდა: და აგრეთვე ლენინის და სტალინის ყველა შრომებით.

ჩვენ მოვითხოვთ, რომ ფაშისტ ბიძინა რამიშვილის წაკითხული ლექციები ხელახლა იქნეს წაკითხული ახალ გადამუშავებულ პროგრამის საფუძველზე.

მ. ბერიშვილი,
ალ. ფუტკარაძე.

ბოლშევიკური ხელმძღვანელობა თავდაცვა ავიაქიმს

სახელმწიფო უნივერსიტეტის თავდაცვა ავიაქიმის ორგანიზაცია, ორჯონიკიძის რაიონის ერთ ერთი დიდი ორგანიზაციაა, მასში 2.800 წევრი ირიცხება. სასწავლო წლის დაწყებიდანვე ზემდგომი ორგანოების დირექტივების თანახმად თ. ს. უ. თავდაცვა ავიაქიმის საბჭომ გაშალა მოსამზადებელი მუშაობა, თავდაცვაავიაქიმის საუნივერსიტეტო საბჭოს არჩევნებისათვის.

20 სექტემბერს შედგა თ.ს.უ. თავდაცვა ავიაქიმის კონფერენცია.

კონფერენციაზე მოსმენილი იქნა საუნივერსიტეტო საბჭოს თავ-რის, ამხ. გ. უკლებას საანგარიშო მოხსენება.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელ ორგანოებში მოკალათებული ხალხის გამომჟღავნებული მტრები, გარეწრები, იაპონია-გერმანიის ფაშიზმის აგენტები: ორაგველიძე, ხობუა, ჯანელიძე და სხვები წლების მანძილზე შენიღბულად აწარმოებდნენ დივერსიულ, მავნებლურ, დამანგრეველ მუშაობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მათი მავნებლურ დივერსიული მუშაობა ავიაქიმის მუშაობასაც შეეხო.

პარტიული კომიტეტის ერთ-ერთ ხხდომაზე, სადაც უდიდესი მნიშვნელობის საკითხი იდგა, მე—4 საკავშირო სამხედრო ქიმშეჯიბრში მონაწილეობის შესახებ, რისთვისაც სახუნტის თავდაცვა ავიაქიმის საბჭოს უნდა მოემზადებია 100 კაცი; შეჯიბრზე მონაწილე ამხანაგების დახმარებაზე უარი განაცხადა ხალხის მტერმა ყოფილმა პრორექტორმა ჯანელიძემ. ის ასეთ სიტყვებით გამოვიდა: დახმარება არ არის საჭირო. ხალხის მტერს ამ საქმეში არაფერი გაუკეთებია და ამით მუშაობა ჩაშალა. ხალხის მტრები ხელს უშლიდნენ მფრინავების, პლანერისტების და პარაშუტისტების, მომზადებას. ავიაქიმს არ მისცეს ოთახი სამხედრო გამოფენისათვის, ჩაშალეს ტირის მოწყობის საქმე, რითაც ხელი შეუშალეს ვოროშილევისებურ მსროლელთა მომზადებას და სხვ.

ყველა ამის გამო თავდაცვა ავიაქიმის საუნივერსიტეტო საბჭოს აქვს მრავალი დეფექტი, მიუხედავად აღნიშნული მდგომარეობისა საბჭომ შესძლო მოემზადებია: 12 მფრინავი, 20—პლანერისტი, 209 პირველი საფეხურის და 97 მეორე საფეხურის ვოროშილოვისებური მსროლელები, 16 ვოროშილოვისებური კავალერისტი.

საჰაერო და ქიმსაწინააღმდეგო თავდაცვის ნორმების, პირველი საფეხური ჩააბარა 5.254 კაცმა, მეორე საფეხური 301, მიიღეს მონაწილეობა მე-4 საკავშირო სამხედრო ქიმშეჯიბრებაში 10 გუნდით, 100 კაცის რაოდენობით და დავიკავეთ რაიონში პირველი ადგილი.

კამათში მონაწილე ამხანაგები, საღი და ბოლშევიკური კრიტიკით ამჟღავნებდენ საბჭოს მუშაობის ნაკლოვანებებს და სახავდნენ ღონისძიებებს თუ როგორ უნდა იმუშაოს მომავალმა საბჭომ.

კამათის დამთავრების შემდეგ არჩეული იქნა საუნივერსიტეტო საბჭო 21 კაცის შემადგენლობით, სარევიზიო კომისია 5 კაცის შემადგენლობით და დელეგატები სარაიონო კონფერენციისათვის 5 კაცის რაოდენობით.

დასასრულს კრებამ დასახა ღონისძიებანი მომავალი საბჭოს მუშაობის გარდაქმნისათვის. მომავალმა საბჭომ უნდა იბრძოლოს მოამზადოს თავდაცვის საქმის კადრები, რათა საჭიროების დროს დაეხმარონ სოციალისტურ სამშობლოს ფოლადისებურ დამცველ უძლეველ წითელ არმიას. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობამიიღო ს. კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის რაიონული კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ.მირცხულავამ. თბილისის თავდაცვა ავიაქიმიის თავ-რე ამხ. ვ. შარაშიძემ, ორჯონიკიძის რაიონის თავდაცვა ავიაქიმიის საბჭოს თავ-რე ანთელიძემ და სხვ.

დ. წვერიკმაზაშვილი

გავდევნოთ უცხო ელემენტები კ. კ. რიგებიდან

ეკონომიური ფაკულტეტის № 99 და 100 ჯგუფში კურს ბიუროს მდივნად არის აკაკი ბზეკალავა, რომელმაც შეგნებულად ჩაშალა მუშაობა აღნიშნულ ჯგუფებში. მიუხედავად მთელი რიგი სიგნალებისა, უცხო ელემენტების მხილებისა და მათზე სათანადო ზომების მიღების შესახებ,—დღემდე არაფერი გაკეთებულა. მაგალითად:

ხალხის მტერ გ. ჯანელიძესთან ცხოვრობდა კ. კ. წევრი დომნა მინაძე, რომელმაც დაკარგა რევოლუციონური სიფხიზლე და მოექცა კლასობრივი მტრის გავლენის ქვეშ.

ფაშიზმის აგენტის ჯანელიძის დახმარებით ის გასულ სასწავლო წელს არ დასწრებია სავალდებულო ლექციებს და უნივერსიტეტი გაიხადა დაუსწრებელ ინსტიტუტად. საგნებს კი ჯანელიძის მიწერით აბარებდა. ჯგუფხელის კანონიერ აღრიცხვას მიწაძის მიერ ლექციების გაცდენებზე პასუხისმგებლობას ჯანელიძე კისრულობდა. რის შემდეგაც მიწაძეს პასუხს არავინ არ სთხოვდა.

სიფხიზლე დაკარგული მიწაძე არ დასწრებია კურსბიუროს არც ერთ კრებას, რამაც ხელი შეუწყო მასზე მტრის გავლენის გავრცელებას.

მიწაძე ირიცხებოდა პარტ-ისტორიის შემსწავლელ წრეში, სადაც მთელი წლის განმავლობაში მეცადინეობას ფაქტიურად არ დასწრებია ორჯერ, მაგრამ გაცდენები როსტომ წულუკიძის მეშვეობით ეთვლებოდა საპატიოდ, რადგან იცოდა რომ მიწაძე ჯანელიძესთან ცხოვრობდა.

კურსბიუროს მუშაობის გაგრძელება ძველებური წესით მოუთმენელია. მოვითხოვთ, გარდაიქმნეს კომკავშირის მუშაობა ეკონომიურ ფაკულტეტის აღნიშნულ ჯგუფებში.

ორნი

ახალი სეზონის წინ

ჩვენი უნივერსიტეტის კლუბთან არსებული, სტუდენტთა დრამატიული წრე, სტუდენტების დაბრუნებისთანავე შეუდგა ახალი სეზონისათვის მზადებას. გაცხოველებული და ენერგიული მუშაობა გაჩაღდა, თეატრის კოლექტიველთა შორის.

მიმდინარე სეზონს თეატრი ხსნის 28 სექტემბერს; განახლებული დადგმით **„ცხვრის წყარო“**-თი. აღნიშნულ სპექტაკლში ბევრი ახალია შეტანილი. პიესა დამუშავებულია უფრო მოხდენილად და ოსტატურად. წელს თეატრი გაძლიერებულია ახალი ძალებით; რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ახალი სეზონის დადგმებში. თეატრში ირიცხება 65-ამდე სტუდენტი მსახიობი.

ოქტომბრის დასაწყისში, თეატრის მიერ წარმოდგენილი იქნება პრემიერა **„ჩატეხილი ხიდი“** შ. დადიანის.

დიდი ოქტომბრის რევოლიუციის ოცი წლის თავის აღსანიშნავად, თეატრი ამზადებს გორდაძის პიესას **„მხამიანი გველი“**. პიესა ასახავს ტროცკისტ-მავნებელთა ბოროტგანზრახვებს.

ამათ გარდა, თეატრს ახალი სეზონისათვის რეპერტუარში შეტანილი აქვს, განაახლოს ძველი დადგმებიდან ჰერმენსის **„იმედის დაღუპვა“, „გზა გაყრილები“, „ნევის ნაპირებთან“, „პირისპირ“, ოქტომბრის ლალადი“, ძუნწი“.**

ლეო მშვილდაძე



სურათზე: თ. ს. უ. ახალი კორპუსი.

მზრუნველობა სტუდენტთა ქალაქს

სტუდენტთა საერთო საცხოვრებლებში მობინადრე სტუდენტთა კულტურულ მომსახურეობის გაუმჯობესების მხრივ, სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შეიქმნა სპეციალური დირექცია, რომლის მუშაობაზედ დიდად არის დამოკიდებული სტუდენტთა ქალაქში ნორმალური პირობების შექმნა. სამწუხაროდ დირექცია ვერ დგას მოწოდების სიმაღლეზე.

სტუდენტთა ქალქის დირექციის (დირექტორი ბუბუტეიშვილი) უხეირო მუშაობის შედეგად საერთო საცხოვრებლებში შექმნილია არა ნორმალური პირობები. უთაო ხელმძღვანელს ძალიან გვიან მოაგონდა საერთო საცხოვრებლის რემონტი — ეს მუშაობა მაშინ დაიწყეს როცა სტუდენტები ბრუნდებოდენ საზაფხულო არდადეგებიდან.

სოციალიზმის ქვეყნის ბედნიერი სტუდენტები, რომლებმაც კულტურულად გაატარენ საზაფხულო არდადეგები მოელოდენ, დახვდებოდათ სუფთა, შეკეთებული საცხოვრებლები. სინამდვილეში კი მათ სტუდენტთა ქალაქის დირექციამ დაახვედრა სველი ახლად გალაქული, ჰუჰყიანი ოთახები. დრო არ ითმენდა და საერთო საცხოვრებლის კარებზე მომდგარი სტუდენტები ქალაქის მესვეურებმა ნახევრად სველ ოთახში შეასახლენ. შედეგად მივიღეთ ის, რომ ახლად გარემონტებული ოთახების ლაქა ბევრ სტუდენტს მოეცხო.

უდარდელი დირექტორის და ტექნიკური ნაწილის (მელიქაძე) უპასუხისმგებლო მუშაობის შედეგად უბრალოდ დაიკარგა დიდძალი თანხა.

მელიქაძის განკარგულებით ინჟ. ორჯონიკიძემ გააუქმა პირველ სართულზე პირსაბნი, იმ მიზნით, რომ ამ ადგილზე გამოეჭრათ კარები, მაგრამ მელიქაძემ კვლავ შესცვალა ეს გეგმა: კარები გამოსჭრა მეორე სართულზე, ხოლო პირველ სართულზე პირისაბანი გაუქმებული დატოვა. ამით შემცირდა პირისაბანთა რიცხვი და შეიქმნა ხელოვნური რიგები. რა არის ეს თუ არა მავნებლობა? მელიქაძე ხელოვნურად ქმნის უკმაყოფილებას სტუდენტებში.

სტუდენტთა ქალაქის დირექციის ხელმძღვანელებმა გარშემო შემოიკრიბეს უდარდელი უსაქმო და ყოფილი ხალხი.

დირექტორის განკარგულებით სტუდენტთა მომარაგების საქმე მიენდო 1924 წლის ავანტიურის მონაწილეს ალ. დუდუჩავას, რომელმაც მთლიანად ჩაშალა სტუდენტთა მომარაგება. დუდუჩავას მავნებლური მუშაობის შედეგად საცროვრებლებს არ გააჩნიათ ისეთი ნივთები, როგორიცაა: ტაშტი, ვედრო, წყლის ჭურჭელი და სხვა. სტუდენტთა დირექციის ხელმძღვანელებმა ხელოვნურად გაბერეს აპარატის შტატი.

სახ. უნივერსიტეტის ადმინისტრატიული ნაწილის პრორექტორის ჩანკვეტაძის და საყოფაცხოვრებო სექტორის ხელმძღვანელის უხეირო მუშაობის შედეგად, მოუგვარებელია საერთო საცხოვრებლებში სტუდენტთა ჩასახლების საქმე. მათ არც კი იციან თუ რამდენი კაცია ახლა ჩასახლებული. სახ. უნივერსიტეტის პრორექტორს და საყოფაცხოვრებო სექტორის გამგეს ერთხელაც არ შეუმოწმებიათ სტუდენტთა ქალაქში შექმნილი მდგომარეობა.

სტუდენტთა ქალაქში სავსებით მივიწყებულია კულტ-მასობრივი მუშაობა, არვინ ფიქრობს თვით-მოქმედი წრეების განახლებაზე და არც გართობის ორგანიზაციაზე. — საჭიროა ამ მდგომარეობას ყურადღებით მოეპყრან.

შ. კვიცარიძე.

დავიცვათ წესრიგი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომენდატურა, მოწოდებულია უზრუნველყოს წესრიგის დაცვა უნივერსიტეტის შიგნით, არსებულ შინაგანაწესის საფუძველზე. ნორმალურ წესრიგის დამყარება დამოკიდებულია მორიგე კომენდატების მუშაობაზე. ზოგიერთი მორიგე კომენდატი ამ დიდ მოვალეობას ვერ ამართლებს. ძალიან ხშირად თვით კომენდატები უხეშად არღვევენ წესრიგს.

როგორც წესი, კომენდატი ღამის განმავლობაში უნდა იყოს თავის პოსტზე ფხიზლად, რათა მორიგეობის დროს ადგილი არ ქონდეს რაიმე გაუგებრობას; მაგრამ არის შემთხვევა როდესაც ეს ელემენტარული წესი ირღვევა. ასე მაგ: მორიგე კომენდატი ამხ. მიქაძე თავის მორიგეობის დროს ხშირად არ დგას თავის პოსტზე. ამას წინეთ ღამის მორიგეობის დროს, მიქაძეს, მორიგ მეხანძრე ფიჩხაძეს და ყარაულ ბესტიაშვილს ეძინათ, რაც უნდა ჩაითვალოს სამსახურებრივი საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებათ. ანალოგიურ მდგომარეობას ქონდა ადგილი ამხ. გაბუნიას მორიგეობის დროს, როდესაც გატეხილი იქნა მეორე კორპუსის საერთო კაბინეტი, რაშიაც ბრალი მიუძღვის თვით გაბუნიას.

სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილმა ხელმძღვანელებმა ხალხის მტრებმა ორაგველიძემ და ხობუამ უნივერსიტეტის კომენდატურაში მოაკალათეს შეუფერებელი პირები: ყოფილი პოლკოვნიკი დიდებულიძე და სხვ.

საჭიროა გადასინჯული იქნეს სახელმწიფო უნივერსიტეის კომენდატურის შტატი და იგი შევსებული იქნას მოწინავე ადამიანებით.

გ. ხურგულაძე

როდემდის გაგრძელდება?

სტუდენტთა ქალაქის სასადილო ვალდებულია კვების მხრივ [illegible] მომსახურეობა გაუწიოს სტუდენტებს. სასადილოს დირექციის უთაო მუშაობის შედეგად იგი ოდნავადაც ვერ ამართლებს ამ მოწოდებას.

რამდენიმე ფაქტი:

მიმდინარე წლის 16 სექტემბერს, სასადილოს გამგის ი. ჭყონიას განკარგულებით სასადილო დაიკეტა 11 საათზე, მაშინ როდესაც წესით უნდა დაკეტილიყო 12 საათზე. ეს მოხდა იმ დროს, როდესაც მომხმარებელი სტუდენტები იმყოფებოდენ პოლიტწრის მეცადინეობაზე. სტუდენტები დარჩენ უსახმოდ, რამაც კანონიერი უკმაყოფილება გამოიწვია მათში.

სასადილოში დამზადებული ზოგიერთი კერძი უვარგისია, აკლებენ დადგენილ წონით რაოდენობას და ხარისხითაც უვარგისია.

მიმტანი ქალები სრულიად უდიერად და უპასუხისმგებლოდ ეპყრობიან მომხმარებელთ. მათთვის სავალდებულო სამუშაო საათებს როგორც სურთ ისე იყენებენ.

სავალალო მდგომარეობაა პურის გაცემის საკითხშიც. სტუდენტთა ქალაქის პურის ყველა წერტში მეტ შემთხვევაში დღის 10 საათიდან პური არ არის.

საჭიროა სტუდენტთა ქალაქის დირექციამ დაუყონებლივ გამოასწოროს შექმნილი მდგომარეობა.

ა. სილაგაძე
გ. სინაურიძე.

დისერტაციის დაცვა

ა. წ. 1-ლ ოქტომბერს საღ. 7 საათზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, აუდიტორია № 107 ქიმიის ფაკულტეტის საბჭოს საჯარო სხდომაზე დოც. **შალვა სილოვანისძე შარაშენიძე** დაიცავს დისერტაციას ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „პლატინის კატალიზატორის მოწამვლა სპილენძის და ვერცხლის იონებით“.

ოფიციალურ ოპონენტებად მოწვეულნი არიან მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან: ქიმიის მეც. დოქტორი პროფესორი **ნ. ნ. პეტინი**, დოც. ქიმიის მეცნ. კანდიდატი **ბ. ა. კონოვალოვა** და თბილისის სახ. უნივერსიტეტის დოცენტი ქიმიის მეცნ. კანდიდატი **კოკოჩაშვილი**.

რედაქციისაგან

ჩვენი გაზეთის 19 ივნისის ნომერში მოთავსებული იყო კორესპონდენცია „პარტორგანიზატორის არჩევნები“. წერილში აღნიშნული იყო ამხ. **შ. სირაძის** შესახებაც, სადაც ეწერა, იგი ეწეოდ[illegible] უნივერიტეტის ხელმძღვანელების დისკრეტიზაციას, კავშირი ქონდა ტროცკისტ მოლაყბეებთან და აწყობდა დ[illegible] ჯგუფებას კ. კ. კომიტეტის წინააღმდეგ[illegible]

რედაქციამ მიიღო საქ. ა. ლ. კ. [illegible] ორჯონიკიძის სახ. რაიკომის ბიურო[illegible] დადგენილება, სადაც აღნიშნულია, რო[illegible] ამხ. შ. სირაძე გამართლებულია წაყ[illegible]ნებული ბრალდებისაგან და იგი აღ[illegible]დგენილია სამუშაოზე სამასწ. [illegible]ტუტში.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ი. შელგია.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა-ლითოგრაფია, მარრის ქ. № 1. მთავლიტის რწმუნებული № 1010.